

ახალი რედაქცია დამტკიცებულია

აკადემიური საბჭოს ოქმი №01 15.01.2024

რექტორი  პ. ხვედელიძე



მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის საგრანტო კონკურსის დებულება

ნდ №2-030101-29

ბათუმი

2024

**პრეამბულა**

1. წინამდებარე დებულება ძალაში შედის დამტკიცებისთანავე, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული დებულების დამტკიცების აქტით;
2. დებულებას და მასში შესატან ცვლილებებს შეიმუშავებს სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, იურისტი და სხვა პირები (საჭიროებისამებრ). სამუშაო ჯგუფის მუშაობას კოორდინირებას და საბოლოო პროექტის მომზადებას უზრუნველყოფს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
3. დებულებაში ცვლილებები მუშავდება დებულების გამოყენების შედეგების, საჭიროებისამებრ ან/და იმ ნორმატიული დოკუმენტების ცვლილებების გათვალისწინებით, რომლის საფუძველზეც შემუშავდა ეს წესი;
4. დებულებაში ცვლილებების შეტანას აკონტროლებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
5. დებულების ორიგინალი (ელ. ვერსიის საფით) ინახება ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში.

**გავრცელების სფერო**

1. წინამდებარე დებულება ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის შიდა ნორმატიული დოკუმენტია;
2. დებულება ვრცელდება ყველა საკითხზე, რომელიც წარმოადგენს ამ დებულების რეგულირების სფეროს, და ყველა დოკუმენტზე, რომლის მიღების საფუძველს წარმოადგენს წინამდებარე დებულებაში არსებული წესები.

**ნორმატიული საფუძვლები**

1. საქართველოს კანონი განათლების ხარისხის განვითარების შესახებ;
2. საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ;
3. საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“;
4. უმაღლესი განათლების სფეროში საქართველოს მოქმედი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები და სტანდარტები;
5. უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პროცედივები (ESG - European Standards and Guidelines);
6. European Standards and Guidelines (ESG-2015)-ის სტანდარტები;
7. საერთაშორისო სტანდარტი ISO 9001:2015 ხარისხის მენეჯმენტის სისტემები - მოთხოვნები;
8. საერთაშორისო სტანდარტი ISO 9000:2015 ხარისხის მენეჯმენტის სისტემა და ლექსიკონი;
9. ნდ №2-010101 – ბნსუ-ს წესდება;
10. ნდ №2-010102 – ბნსუ-ს საქმიანობის მომწესრიგებელი დებულება (შინაგანაწესი);
11. ნდ №2-030101-13 – სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მარეგულირებელი დებულება;
12. ნდ №2-020101-01 – დოკუმენტების მართვის პროცედურა.

**ძირითადი განმარტებები და შემოკლებები**

შიდა ნორმატიული დოკუმენტი - ბნსუ-ს საქმიანობის მომწესრიგებელი, შიდა მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც ადგენს საქმიანობის წესს, საერთო პრინციპებსა და დახასიათებას და ეხება სხვადასხვა საქმიანობის სახეებს და მათ შედეგებს;

თანამდებობრივი ინსტრუქცია - ნორმატიული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს, თანამდებობაზე დანიშნული მუშაკის კვალიფიკაციის მიმართ მოთხოვნებს, მოვალეობებს, ფლებებსა და პასუხისმგებლობას;

სტრუქტურული ერთეულის დებულება - ნორმატიული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სტრუქტურული ერთეულის სტატუსს, საქმიანობის უზანს ან მიმართულებას, ქვედანაყოფის ამოცანებსა და ფუნქციებს, სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის დანიშვნის წესსა და მის თანამდებობრივ ინსტრუქციას;

აღრიცხული ეგზემპლარი - დოკუმენტი, რომელსაც გააჩნია სააღრიცხვო ნომერი აღრიცხული ეგზემპლარების სიის მიხედვით;

საგანმანათლებლო პროგრამა - საბაკალავრო, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;

სტუდენტი - პირი, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ჩაირიცხა და სწავლობს საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე;

მაგისტრანტი - პირი, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ჩაირიცხა და სწავლობს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე;

ბნსუ ან სასწავლო უნივერსიტეტი - შპს „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი“;

უსდ/სდ - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება/საგანმანათლებლო დაწესებულება;

ISO - სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია;

ხს - ხარისხის სისტემა;

ECTS - კრედიტებისა ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა;

ESG - European Standards and Guidelines;

ENQA - European Network for Quality Assurance;

სდ - საინფორმაციო დოკუმენტი;

სტს - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო;

**შინაარსი**

მუხლი 1. ზოგადი დებულებები .....	4
მუხლი 2. მოქმედების სფერო .....	4
მუხლი 3. კონკურსის მიზანი .....	4
მუხლი 4. კონკურსის გამოცხადება .....	4
მუხლი 5. კონკურსის ვადები .....	4
მუხლი 6. პროექტის ჯგუფი .....	5
მუხლი 7. საკონკურსო კომისიის შემადგენლობა .....	5
მუხლი 8. საკონკურსო კომისიის მუშაობა .....	5
მუხლი 9. პროექტის ადმინისტრირება .....	5
მუხლი 10. პროექტის მონიტორინგი .....	6
მუხლი 11. პროექტის ხანგრძლივობა .....	6
მუხლი 12. წესის დანართები .....	6
მუხლი 13. წესის საჯაროობა/კონფიდენციალურობა .....	6
მუხლი 14. დასკვნითი დებულებები .....	6

### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი პროცესის სრულყოფისა და სამეცნიერო კვლევებში აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ჩართვის წახალისების მიზნით უნდა განხორციელდეს მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტები (შემდგომში „მიზნობრივი პროექტი“);
2. მიზნობრივი პროექტი არ გულისხმობს აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემით განსაზღვრულ, ყოველწლიურ სავალდებულო სამეცნიერო აქტივობებს და ხორციელდება საუნივერსიტეტო სამეცნიერო პოტენციალის ინტენსიფიკაციის მიზნით;
3. მიზნობრივი პროექტის დაფინანსება მოხდება სასწავლო უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან საგრანტო კონკურსის საფუძველზე.

### მუხლი 2. მოქმედების სფერო

1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში-ბნსუ) მიზნობრივი პროექტის დასაფინანსებლად საგრანტო კონკურსის გამოცხადებისა და ჩატარების წესს.

### მუხლი 3. კონკურსის მიზანი

#### 3.1. კონკურსის მიზანია:

- კვლევის, ნოვაციებისა და კრეატიულობის წახალისება და მხარდაჭერა;
- თანამედროვე მაღალი სტანდარტების დარგობრივი ან/და ინტერდისციპლინური კვლევების განხორციელება და შედეგების გავრცელება;
- უნივერსიტეტის ახალგაზრდა მკვლევართა, აგრეთვე სტუდენტთა მოტივირებისა და სამეცნიერო პოტენციალის ზრდის ხელშეწყობა;
- საერთაშორისო რეცენზირებად, იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში პუბლიკაციების რაოდენობის ზრდა.

### მუხლი 4. კონკურსის გამოცხადება

1. მიზნობრივი პროექტის შერჩევისა და დაფინანსების მიზნით, რექტორის ბრძანებით ცხადდება კონკურსი;
2. ბრძანებაში მიეთითება:
  - კვლევის თემატიკა;
  - წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა;
  - კონკურსის ვადები;
  - მიზნობრივი პროექტების დაფინანსების საერთო ბიუჯეტი.
  - მიზნობრივი პროექტების განხორციელების ვადები;
  - წინამდებარე დებულების მოთხოვნებიდან გამომდინარე სხვა საკონკურსო პირობები.

### მუხლი 5. კონკურსის ვადები

- მიზნობრივი პროექტების განხორციელების ვადები;
- წინამდებარე დებულების მოთხოვნებიდან გამომდინარე სხვა საკონკურსო პირობები.

5.1 კონკურსში მონაწილეობის მსურველმა ვალდებულია წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები (დანართების მიხედვით):

კონკურსზე წარსადგენი პროექტის თანდართული დოკუმენტების ნუსხა:

- კონკურსანტის განცხადება საკონკურსო კომისიის ხელმძღვანელის სახელზე;
- პროექტის/ნაშრომის/ლონისძიების პასპორტი (აღწრილობა);
- პროექტის/ნაშრომის/ლონისძიების ხარჯთაღრიცხვა;
- პროექტის/ნაშრომის/ლონისძიების ანგარიშგება;
- პროექტში მონაწილეთა პირთა CV (ბნსუ-ში მოქმედი ფორმით; სტუდენტის, მაგისტრანტის შემთხვევაში - ასევე, ცნობა სტუდენტის სტატუსის, სწავლების სემესტრის და აკადემიური მოსწრების შესახებ);

5.2. ამ მუხლით განსაზღვრული სავალდებულო დოკუმენტაციის ბეჭდური და ელექტრონული ვერსია წარმოდგენილი უნდა იქნეს უნივერსიტეტის კანცელარიაში;

5.3. საკონკურსო განაცხადების მიღების დასრულების შემდგომ, დოკუმენტაცია გადაეცემა შესაბამისი მიმართულების საკონკურსო კომისიას;

5.4. კონკურსის ვადის დარღვევით წარმოდგენილი განცხადება განხილვას არ ექვემდებარება.

### მუხლი 6. პროექტის ჯგუფი

1. პროექტის ჯგუფის შემადგენლობა განისაზღვრება შემდეგნაირად: პროექტის ხელმძღვანელი, ძირითადი პერსონალი, დამხმარე პერსონალი, სტუდენტი (მაგისტრანტი);

2. პროექტის ხელმძღვანელობა შეუძლია პირს, რომელიც არის დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე, ბნსუს-თან აფილირებული პირი, რომელიც უხელმძღვანელებს პროექტის მომზადებას და განხორციელებას; პასუხისმგებელი იქნება პროექტის სამეცნიერო შედეგებზე; პროექტით გათვალისწინებული საქმიანობის ანგარიშის წარდგენაზე; პროექტის ეფექტიან მართვაზე;

3. ძირითადი პერსონალი, უნდა იყოს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი. ძირითად პერსონალს შეიძლება წარმოადგენდეს მოწვეული სპეციალისტები, როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო;
4. პროექტში ჩართული დამხმარე პერსონალი შესაძლებელია იყოს ბნსუ-ში დასაქმებული პირი;
5. მიზნობრივ პროექტში უნდა მონაწილეობდეს არანაკლებ 2 სტუდენტისა (მაგისტრანტი), რომელთა ფუნქციებს განსაზღვრავს პროექტის ხელმძღვანელი;
6. პროექტში შესაძლებელია მოხდეს შემსრულებელთა შეცვლა/ჩანაცვლება, რის შედეგადაც მოხდება პროექტის ახალ მონაწილესთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმება;
7. პროექტში ჩართული გარე ექსპერტები, შეიძლება იყვნენ ადგილობრივი/საერთაშორისო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან და/ან კვლევითი ინსტიტუტებიდან. ასევე სამთავრობო/კერძო და/ან სამოქალაქო სექტორიდან. დასაშვებია, რომ კვლევითი გრანტების მიმღები კვლევითი გუნდის პერსონალის მხოლოდ 20%-ს შეადგენდნენ გარე ექსპერტები.

#### მუხლი 7. საკონკურსო კომისიის შემადგენლობა

1. გადაწყვეტილებას პროექტის შერჩევის შესახებ იღებს რექტორის ბრძანების საფუძველზე შექმნილი კომისია;
2. კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება არანაკლებ 7 წევრით;
3. კომისიაში შედიან დარგის სპეციალისტები;
4. კომისიაში შეიძლება შევიდნენ ბნსუ-ს აკადემიური პერსონალი და/ან კონკურსისთვის მოწვეული გარე პირები;
5. კომისია ხმათა უმრავლესობით ირჩევს თავმჯდომარეს და მდივანს;
6. კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდეს პირი: რომელიც არის კონკურსის მონაწილე ან რომლის მონაწილეობა იწვევს/გამოიწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

#### მუხლი 8. საკონკურსო კომისიის მუშაობა

1. კომისიის სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის 2/3;
2. სხდომის შესახებ დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს კომისიის სხდომის თავმჯდომარე და მდივანი;
3. კომისია წარმოდგენილ პროექტებს აფასებს შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:
  - კვლევის აქტუალობა და სიახლე;
  - რამდენად მკაფიოდ არის აღწერილი პროექტის მიზნები;
  - განსახორციელებელი ამოცანები, მოსალოდნელი შედეგები და მდგრადობა;
  - რამდენად უზრუნველყოფს პროექტში ჩართული პერსონალის პროფესიული კვალიფიკაცია პროექტით დასახული კვლევის ეფექტიანად წარმართვას;
  - რამდენად ოპტიმალურად არის პროექტში დაგეგმილი დრო, ადამიანური, ფინანსური და ტექნიკური რესურსების გამოყენება;
4. კომისია უფლებამოსილია გამარჯვებული პროექტის გამოვლენამდე, სხდომაზე მოიწვიოს ხელმძღვანელი, პროექტის პრეზენტაციისა და კომისიის წევრების შეკითხვებზე პასუხის გასაცემად, ასევე განუსაზღვროს მას ვადა ტექნიკური ხარვეზის (მაგ: ბიუჯეტის გამოთვლით ნაწილში ან სხვა) აღმოსაფხვრელად;
5. გადაწყვეტილება პროექტის (პროექტების) შერჩევის შესახებ მიიღება ღია კენჭისყრის გზით. ყოველ პროექტს კენჭი ეყრება ინდივიდუალურად; გამარჯვებულად გამოცხადდება ის პროექტი, რომელიც დააგროვებს კომისიის წევრების ხმების უმრავლესობას;
6. კომისია ვალდებულია საკონკურსო მასალების მიღებიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადაში განიხილოს პროექტი და შეიმუშაოს არგუმენტირებული დასკვნა მისი დაფინანსების ან/და დაფინანსებაზე უარის თქმის შესახებ; ხოლო მომდევნო 2 სამუშაო დღის ვადაში დასკვნა წარუდგინოს უნივერსიტეტის რექტორსა და კანცლერს.
7. უნივერსიტეტის კანცლერი და რექტორი უფლებამოსილია მიიღოს საკონკურსო კომისიის დასკვნა და გადაწყვეტილება ან შესაბამისი წერილობითი ახსნა-განმარტებითა შენიშვნებით დაუბრუნოს ის კომისიას. იმ შემთხვევაში თუ კომისიის დასკვნასთან მიმართებაში უნივერსიტეტის რექტორსა და კანცლერს შენიშვნა არ გააჩნიათ, უნივერსიტეტის რექტორი გამოსცემს ბრძანებას, რომელსაც წერილობით ადასტურებს კანცლერი;
8. ცალკეულ შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია მიზნობრივი გრანტისათვის გამოყოფილი თანხა გაანაწილოს ორ ან მეტ გამარჯვებულ პროექტზე. თანხის განაწილების საკითხს წყვეტს კომისია პროექტის შინაარსის, სტრუქტურის და ჯამური შეფასების გათვალისწინებით.
9. მიზნობრივ პროექტში მონაწილეობის ხელშეკრულება ფორმდება თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად.
10. კომისიაში მონაწილეობისათვის გარედან მოწვეული პირის მიერ გაწეული სამუშაო ანაზღაურებადია, რაც განისაზღვრება შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე.

#### მუხლი 9. პროექტის ადმინისტრირება

პროექტის ადმინისტრირება ხორციელდება ბნსუ-ს კვლევების ცენტრის მიერ, რაც გულისხმობს შემდეგი სახის პროცედურებს:

- მიზნობრივი პროექტების კონკურსის გამოცხადებისა და ჩატარების ორგანიზება;
- გამარჯვებული პროექტის პერსონალთან შესაბამისი ხელშეკრულებების გაფორმების ორგანიზება;
- მიზნობრივი პროექტის მიმდინარეობის პროცესში წარმოქმნილი პრობლემების აღმოფხვრის უზრუნველყოფა;
- პროექტის დასრულებიდან 1 წლის განმავლობაში კოლექტიური მონოგრაფიის, ან/და პროექტის სამუშაო ჯგუფის მიერ საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალში შესაბამისი სამეცნიერო პუბლიკაციის წარდგენის ხელშეწყობა, ან/და სხვა დაგეგმილი შედეგის განხორციელების ორგანიზაციული მხარდაჭერა;
- პროექტების შუალედური და საბოლოო შედეგების შესახებ ანგარიშების თავმოყრა და წარდგენა.

#### მუხლი 9. პროექტის ბიუჯეტი

1. პროექტის დაფინანსება განხორციელდება ტრანშებად, პროპორციული პრინციპით - პირველი ტრანში არაუმეტეს 30%-ისა, მეორე ტრანში - არაუმეტეს 40%-ისა პროექტის პირველი ნაწილის ფინანსური და პროგრამული ანგარიშის წარდგენისა და დადებითი შეფასების საფუძველზე, მესამე ტრანში - არაუმეტეს 30%-ისა პროექტის წარმატებით დასრულების შემდგომ.
2. პროექტის პერსონალის შრომის ანაზღაურება არ უნდა აღემატებოდეს პროექტის ბიუჯეტის 40%-ს;
3. პროექტის ფარგლებში შექმნილი ქონება რჩება უნივერსიტეტის საკუთრებაში.

#### მუხლი 10. პროექტის მონიტორინგი

1. ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხორციელდება პროექტების მონიტორინგი, რომელსაც ახორციელებს უნივერსიტეტის კანცლერი და ფინანსური სამსახური, რომელთაც პროექტის ხელმძღვანელი წარუდგენს შუალედურ და დასკვნით ანგარიშებს.
2. პროექტი ჩაითვლება დასრულებულად, თუ:
  - პროექტის ფარგლებში გადარიცხულ ყველა ტრანშზე პროექტის დახურვის მომენტში წარდგენილია შუალედური და საბოლოო ანგარიშები და პროექტი არ არის შეჩერებული ან შეწყვეტილი;პროექტის ხელმძღვანელის მიერ წარდგენილი იქნება პროექტში განხორციელებელი კვლევისა და მიღწეული შედეგების შესახებ დეტალური ანგარიში.

#### მუხლი 11. პროექტის ხანგრძლივობა

1. მიზნობრივი პროექტის ხანგრძლივობა რეგულირდება რექტორის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტის საფუძველზე;
2. პროექტის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე, დასაშვებია პროექტის გახანგრძლივება და სამოქმედო გეგმაში ან/და ხარჯთაღრიცხვაში (დამტკიცებული ბიუჯეტის ფარგლებში) ცვლილების განხორციელება;
3. პროექტის სამოქმედო გეგმაში ან/და ხარჯთაღრიცხვაში ცვლილების შესახებ გამოიცემა რექტორის ბრძანება, რომელიც ვიზირებულია კანცლერის მიერ.

#### მუხლი 12. წესის დანართები

1. წინამდებარე დებულების განუყოფელ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს მისი დანართები, ასევე დოკუმენტები/ფორმები, რომლებიც შემუშავდა წინამდებარე დებულების საფუძველზე.

#### მუხლი 13. წესის საჯაროობა/კონფიდენციალურობა

1. წინამდებარე დებულება საჯაროა;
2. ბნსუ-ს პერსონალი და დებულებით გათვალისწინებული პროცესების/პროცედურების განხორციელებაში ჩართული და სხვა პირები, რომლებიც მონაწილეობენ ამ პროცესების უზრუნველყოფაში, ვალდებული არიან გაეცნონ წინამდებარე წესს და შეასრულონ მისი მოთხოვნები, ბნსუ ვალდებულია ნებისმიერ დროს მისცეს მათ წესის გაცნობის შესაძლებლობა.

#### მუხლი 14. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე დებულების ძალაში შესვლისთანავე უქმდება წინამდებარე დებულების ძალაში შესვლამდე მოქმედი დებულებები/წესები, რომლებიც არეგულირებდნენ წინამდებარე დებულებით გათვალისწინებულ საკითხებს;
2. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის ინიციატორი შეიძლება იყოს რექტორი, აკადემიური საბჭო, კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი, ბნსუ-ს იურისტი;
3. შედეგულბაშიცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინებით;
4. დებულებაში მუხლებს წინამდებარეული აქვს სათაურები ტექსტით სარგებლობის გასაადვილებლად, ეს სათაურე-

- ბი არ მიიჩნევა რომელიმე მუხლის განმსაზღვრელად, შემცვლელად ან განმმარტებლად;
5. დებულების რომელიმე მუხლის/დებულების ძალადაკარგულად/ბათილად ცნობა არ ვრცელდება დებულების სხვა მუხლებზე/ დებულებებზე;
  6. ყველა საკითხი, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე დებულებით, რეგულირდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით;
  7. დანართები წარმოადგენენ დოკუმენტის განუყოფელ. შემადგენელ ნაწილს.
  8. წინამდებარე დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების დამტკიცების შემთხვევაში.



მფ-2-№01-06-10.01.2023

დანართი #01

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარეს

მოქალაქე \_\_\_\_\_  
(სახელი, გვარი)

საკონტაქტო ტელ. \_\_\_\_\_

e-mail \_\_\_\_\_

**განცხადება**

ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსების მოპოვების მიზნით წარმოგიდგენთ:

პროექტის / ნაშრომის დასახელება

განცხადებას ერთვის დანართის სახით:

№	დოკუმენტის დასახელება	წარდგენილი საბუთის	
		ნაბეჭდი გვერდების რაოდენობა	ელ. ვერსია (CD/DVD დისკების რაოდენობა)
1.			
2.			
3.			
4.			
5.			
6.			

ხელმოწერა: \_\_\_\_\_

თარიღი

საბუთები მიიღო \_\_\_\_\_  
საკონკურსო კომისიის მდივნის სახელი,  
გვარი

ხელმოწერა

თარიღი





მფ-2-№02-06-10.01.2023

დანართი #02

**პროექტის/ნაშრომის/ღონისძიების პასპორტი (აღწერილობა)**

<2024>

**პროექტის/ნაშრომის/ღონისძიების  
ხელმძღვანელი/ ავტორი:**

**1. პროექტის/ღონისძიების/ნაშრომის დახასიათება**

განხორციელების პერიოდი / თარიღი	მიუთითეთ შესაბამისი თარიღ(ებ)ი ან პერიოდი (დაწყების და დასრულების რიცხვი, თვე, წელი)
მიმოხილვა	ზოგადად აღწერეთ პროექტის/ღონისძიების/ნაშრომის შინაარსი (ანოტაცია)
აქტუალობა	მოკლედ და მკაფიოდ აღწერეთ აქტუალობა
მიზნები და ამოცანები	აღწერეთ რა ამოცანების გადაწყვეტაზე და/ან რა მიზნების მიღწევაზე არის მიმართული პროექტი/ღონისძიება
მისაღწევი/დაგეგმილი შედეგები	მიუთითეთ შედეგები, მათ შორის რაოდენობრივი მაჩვენებლები (არსებობის შემთხვევაში), რომლებიც იქნება მიღწეული/მიღებული პროექტის/ღონისძიების რეალიზების შედეგებიდან გამომდინარე
„სამოქმედო გეგმის“ ღონისძიება/პროექტი/სხვ., რომლის მიზნების-თვის/რომლის ფარგლებში შესრულდება მოცემული პროექტი/ ღონისძიება	მიუთითეთ კონკრეტული პროექტი/ნაშრომი/ღონისძიება/სხვ., რომლის მიზნებისთვის ან რომლის ფარგლებში რეალიზდება წინამდებარე პროექტი/ნაშრომი/ღონისძიება/სხვ.
დაკავშირებული პროექტები/ღონისძიებები	მიუთითეთ რომელი პროექტ(ებ)ის/ნაშრომის/ღონისძიებ(ებ)ის/სხვ. რეალიზების შემდეგ შესაძლებელია მოცემული პროექტის/ნაშრომის/ღონისძიების/სხვ. დაწყება; მიუთითეთ, რომელი პროექტ(ებ)ის/ნაშრომის/ღონისძიებ(ებ)ის/სხვ. დაწყებამდე უნდა დასრულდეს მოცემული პროექტი/ნაშრომი/ღონისძიება/სხვ.; მიუთითეთ რომელი პროექტ(ებ)ის/ნაშრომის/ ღონისძიებ(ებ)ის/სხვ. მიზნების მიღწევას ხელს შეუწყობს მოცემული პროექტი/ღონისძიება.
გავლენა „სამოქმედო გეგმის“ რეალიზებაზე	აღწერეთ მოცემული პროექტის/ღონისძიების/ნაშრომის გავლენა „სამოქმედო გეგმის“ რეალიზების მაჩვენებლებზე და შესრულებაზე.
დამატებითი ინფორმაცია	მიეთითება არსებობის შემთხვევაში.

**2. პროექტის/ღონისძიების/ნაშრომის ხელმძღვანელობა, შესრულებაზე პასუხისმგებლობა**

პროექტის/ნაშრომის/ ღონისძიების/სხვ. ხელმძღვანელი /	სახელი, გვარი	ელ. ფოსტა	საკონტაქტო ტელეფონი
----------------------------------------------------	---------------	-----------	---------------------



ნაშრომის ავტორი			
შესრულებაზე სხვა პასუხისმგებელი პირები	სახელი, გვარი	ელ. ფოსტა	საკონტაქტო ტელეფონი
ანგარიშის წარდგენაზე პასუხისმგებელი პირი	სახელი, გვარი	ელ. ფოსტა	საკონტაქტო ტელეფონი
ანგარიშის წარდგების ვადა	მიუთითეთ კონკრეტული თარიღ(ებ)ი ან პერიოდი (რიცხვი, თვე, წელი - რიცხვი, თვე, წელი)		

3. პროექტის/ნაშრომის/დონისძიების/სხვ. შესრულებისათვის აუცილებელი ადმინისტრაციული რესურსი

სტრუქტურული ერთეულ(ებ)ი	შესასრულებელი მოვალეობები (ფუნქციები)	საქმიანობის ვადა
მიუთითეთ, ბნსუ-ს რომელი სტრუქტურული ერთეულის ჩართულობაა საჭირო პროექტის/დონისძიების რეალიზებისათვის.		

4. პროექტის/ნაშრომის/დონისძიების/სხვ. შესრულებისათვის აუცილებელი მატერიალური და ფინანსური რესურსები

მოთხოვნები სამეურნეო რესურსებისადმი	#	ინფრასტრუქტურა, აღჭურვილობა, სხვ.
	1.	მიუთითეთ ინფრასტრუქტურა და აღჭურვილობა, რომელიც საჭიროა პროექტის/ნაშრომის/დონისძიების/სხვ. რეალიზებისათვის. მიუთითეთ სპეციალური მოთხოვნები (არსებობის შემთხვევაში) ინფრასტრუქტურისა და აღჭურვილობისადმი (მაგ., რაოდენობა, დასახელება, სხვ.)
2.		

პროექტის/ნაშრომის/დონისძიების/სხვ. ნაშრომის ბიუჯეტი (ერთეული - ლარი)	#	ხარჯების დასახელება	თანხა
	1.	აუცილებელია ტექსტური განმარტების სახით პროექტის/ნაშრომის/დონისძიების/სხვ. დაგეგმილი ხარჯების (მაგ., შრომის ანაზრაურება, მივლინებების, აღჭურვილობის, მასალების შეძენა, სხვ.) აღწერა	
2.			
<b>სულ:</b>			

პროექტის/ნაშრომის/დონისძიების/სხვ. ბიუჯეტი (ერთეული: ლარი)														
#	ხარჯების დასახელება (პასპორტის მიხედვით)	თანხა თვეების მიხედვით (ერთეული: ლარი)												
		I კვარტალი			II კვარტალი			III კვარტალი			IV კვარტალი			სულ
		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	
1.														
...														
<b>სულ:</b>														